



## ბორის დარჩიბა

### იოვანე საბანის მის ერთი მხატვრული სურათის საფუძველი

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ და საგანგებო მსჯელობა იყო გამართული V საუკუნის ჩინებული ქართველი მწერლის, იოვანე საბანის ძის, ბრწყინვალე ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „მარტვლობად წმიდისა ჰაბოდ ტფილელისად“ დახატული ერთი უჩვეულო მხატვრული სურათის შესახებ. როცა ამირასთან დასასჯელად მიჰყავთ ჰაბო, გზაში ის, როგორც გარეშე თანმხლები პირი, ისე ხედავდა თავის გარდაცვლილ, მკვდარ სხეულს: „გამოიყვანეს იგი ეპრტვე ბორკილით ფერწოა და ქელთათა; და მიჰყვანდა იგი შორის ქალაქესა, და ოომელნი ჰედვიდეს მას ქრისტიანები და მეცნიერნი მისნი, ცრუმლობდეს მისთვეს, ხოლო წმიდა მან ჰაბო პრუჟა მათ: «ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ღოვეთ წარმეტავნეთ და მშედლობამან უფლისა-მან დაგიცვენინ თქვენი!», ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაური ექმნის მკუდარსა, ეპრე ჰედვიდა თუსსა მას გუამსა. და სულითა თუსით მოგზაურ ქმნული თკთ იტყოდა ფსალტენსა...“<sup>1</sup>.

რეგაზ ბარამიძე მასმი ხედავს არა რაიმე განსაკუთრებულ, არამედ ჩვეულებრივ მხატვრულ სურათს, სადაც გმირის სულიერი სიძლიერე ჩანს: „ამო თითქოს ამაღლდა ამქვეყნიურ ინტერესებზე, სიკვდილიც არად მიაჩნია“<sup>2</sup>.

სხვა თვალით განიხილავს მას გროვერ ფარულება და, როგორც იშვიათი შინაარსის მაღალმხატვრულ ქმნილებას, დიდ შეფასებას აძლევს. „ჩვენს წინაშეა დახვეწილი პოეტური სახე სასიკედილო ემაფოტზე მიმავალი კაცის სულის მოძრაობისა. ანტიკური გმირივით ამაყი და თავაწეული მიაბიჯებს ამო სიკვდილის გზაზე, ანუგეშებს კიდევაც მისთვის ცრუმლის ძღვრულო მაგრამ მოწამის სულში მთელი არსების შემძრელი ზმანება დაბორიალობს: იგი ისე მიდიოდა, როგორც ვინმე მიაცილებს სამგლოვიარო პროცესის, ახევე «ჰედვიდა თუსსა მას გუამსა». და ასე ხაკუთარი გვა-

<sup>1</sup> მველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 69-70.

<sup>2</sup> ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 50.

მის სულიერ თანამდებობაზე «ქმნელი თუ იტყოდა ფსალმუნსა». ეს არის პოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში არა მხოლოდ ქართული ძწერლობის მასშტაბით<sup>3</sup>.

აკაკი გრიერელიამ აღტაცება გამოიტევა გ. ფარულავას ამ მიგნებისა და შეფასების გამო: „ახალგაზრდა შეკვლევარის ეს მიგნება მოულ გამოკვლევად ღირს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი (ვიმეორებთ, — არც ერთი!) პასაჟი თვით სტერნთან, თომას მანთან ან ჯოისთან, რომელიც მოტანილი ეპიზოდის შეგვესი ფსიქოლოგიური სიღრმით ვაღმოსცემდეს პერსონაჟის ცნობიერების ირრაციონალურ ვითარებას. ეს მხატვრული აბსტრაქციის უკიდურესი ზღვარია, ესთეტიკურად გამაონგებელი“<sup>4</sup>.

გ. ფარულავა და ა. გრიერელია საგანგებოდ სგამენ საკითხს, თუ რამ განაპირობა აღნიშნული სურათის შექმნა და ორივე მას ავტორის წმინდა წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნილად მიიჩნევს. ბატონი გრივერი იმ ქვეთავს, სადაც ამ საკითხს განიხილავს, ისევე ასათაურებს, როგორც პირველად „მაცნეში“ დაბეჭდა: „მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა“. გამოკვლევის ტექსტში ფართოდ მსჯელობს და თავის შეხედულებას ასე აყალიბებს: „ის, რაც არ არის (ფაქტობრივად, ემპირიულად შეუძლებელია კაცი საკუთარ ცხედარს მაცილებდეს), არსებობს (ვითარება ადამიანის ღრმა სულიერი სინაძვილე), — გვიმტკიცებს იოანე საბანის ძე, ისევე, როგორც კეკლა ნაძვილი ხელოვანი. ფაქტობრივი სინაძვილე აქ «ვადატრიალულია» პერსონაჟის წარმოსახვაში. მაგრამ ემპირიული სინაძვილის სწორედ ეს უცნაური სურათი ანათებს და საცნაურს ხდის თვალშეუდგამ სიღრმეს ადამიანის სულის სინაძვილისა. ხელოვნების უმაღლესი ამოცანაც სხვა არაფერია. გარემომცველ სინაძვილეს იგი ადამიანის თვალებით უცქერის და ბუნების თვალწარმტაც სურათშიც ჩემს საოცარ სულზე გვესაუბრება“<sup>5</sup>.

ავტორი აქ გარკვევით და გამოკვეთილად არ გვეუბნება, აღწერილ სურათს აქვს თუ არა სინაძვილესთან რაიმე შეხება. მაგრამ, მას რომ ოდენ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს, აშკარად ჩანს მის მიერ დამოწმებული ლიტერატურიდანაც. კვლევარი განაგრძობს: „ქრისტოფერ კოდუული ამბობს: «არავის ძალუს შეხედოს თვის თვეს უშუალოდ, მაგრამ ხელოვნება გადაქცევს სამყაროს სარკედ, რომელშიც ჩვენ ვიჰქროთ წარმაგალ შთაბეჭდილებებს ჩვენსავე შესახებ. მათში ჩვენ ცხედავთ ჩვენს თვეს არა ისეთებად, როგორიც ვართ სინაძვილეში, არამედ როგორც შევიძლია ვიყოთ, შევიცვლებით რა საზოგადოების ზეგავლენით. ხელოვნება მოგვითხრობს იმის შესახებ, რაზეც არ ძალუს მოვითხროს მეცნიერებამ, რომლის წინაშე უძლეურია რელიგია». ანიჭებს რა გარემომცველ სინაძვილეს ადა-

<sup>3</sup> მხატვრული სახის ბენებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 133.

<sup>4</sup> ნარკვევები, პორტრეტები, ლექსიმცოდნება, თბ., 1988, გვ. 390.

<sup>5</sup> დასხ. მხატვრული სახის..., გვ. 134.

მიანის გულიდან მომდინარე ემოციურ ხმიანობას, ხელოვნება გადააქცევს «ძოვლს ჩეხს სინაძვილეს, თვით სიკვდილსაც, უფრო საინტერესოდ, ვინაიდან იგი უფრო მართლი ხდება»<sup>6</sup>.

გ. ფარულავა თავის სათქმელს, რომ საძიებელ სურათს რაიმე კავშირი არა აქვს სინაძვილესთან და იგი თავიდან ბოლომდე მხოლოდ მწერლის გამონაგონია, უფრო ნათლად მომდევნო სტრიქონებში გამოხატავს: „ჰა-გოგრაფს ადამიანური სინაძვილის ისეთ სფეროში შევყარო, რომელიც, მართლაც, მუწედომელია შემცენების სხვა დარღვებისათვის. მწერალი ადა-მიანის შინაგან სამყაროზე, გრძნობებზე, ემოციებზე ძოვითხრობს, ხოლო თხრობა იმჯე სამყაროს, გრძნობებისა და ემოციების ენაზე მიმდინარეობს. ითანე საბანისძე სინაძვილეს შესაძლებლისა და შეუძლებლის, ერთუ-ლისა და ზოგადის, უსახოსა და შევენიერის მთლიანობაში აღიქვამს. ეს კი განმსაზღვრულია ხელოვანის მსოფლაღებაში, მაგრამ არა ისტორიულისა“.<sup>7</sup>

აეტორი ამ მაგალითს ჰაგიოგრაფიაზე აზოგადებს და ასკენის: „ხე-ლოვანის მსოფლაღება წარმმართველია ქართულ ჰაგიოგრაფიაში. იგი ჩვენ უხვად წარმოგვიდგენს პერსონაჟის ქცევის ან სულიერი მდგომარეო-ბის ისეთ მომენტებს, რომელთა წყაროდ, მწერლის წარმოსახვის გარდა, ვერაფერს მივიჩნევთ“<sup>8</sup>.

როგორც ვნახეთ, აკაკი გაწერულია ეთანხმება მკვლევარის ამ მოსაზ-რებას. მასაც აღწერილი სურათი „პერსონაჟის ცნობიერების ირრაციო-ნალურ ვითარებად“ ესახება. თვით თავის ამ გამოხმაურებას ასე ასათაუ-რებს: „ბრწყინვალე პროზაიკონის თვისება ირრაციონალურის დაჭერ-აა“. მსგავს მაგალითად ის ასახელებს ლევ ტოლსტიოს „ანა კარენინაში“ მონათხრობს: „როცა ანა ღამით ლოვინში მწოდი თვისესვე ბრწყინვალე თვალებს შეცეკერის“<sup>9</sup>.

ბატონი აკაკი ამ მონათხრობს უფრო ფართოდ ქება საგანგებო ნარკვევში „ტოლსტიოს მხატვრული მეთოდის შესავალი“, რომელიც ზე-მორე დამოწმებულ წიგნშია გადმობეჭდილი<sup>10</sup>. ავტორს რუსულადვე მოჰყ-ავს „ანა კარენინას“ ეს ადგილი, იმოწმებს მის შესახებ ა. ჩქონისა და ო. ბუნინის საუბარს და ხაზგასმულად, დაყოფით წერს: „ტრაგიკულად ბედ-ნიერად თავისესვე შეფაქლულ სახეს შეცეკერის სიბეღლეში! შეუძლებე-ლია, ასეთი რამ მომზღარიყო, მაგრამ შეუძლებელია ასეთი რამ არ მომ-ზღარიყო. ტოლსტიოს წვრილმანების სპექტრს ანტიონიმიური შინაარსი აქვს და მისი ლოგიკური შემოწმება შეუძლებელია, მიღება ან უარყოფა. დრად ხელოვნებას დაუჯერებელი აქვავს ხელშეუვალი მხატვრული აბ-სოლუტის რანგში. ამ მხრივ ტოლსტიო უფრო უდიდესი პოუტია, ვიდრე

<sup>6</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>9</sup> დასხ., ნარკვევბი..., გვ. 390.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 84-97.

გრიგერ ფარულავას წიგნს ჰაგიოგრაფიის ჟანრულ თავისებურებათა თვალსაზრისით გამოქმაურნენ თემურაზ დოიაშვილი და ლევან ბრუაძე ერთობლივი წერილით „ჰაგიოგრაფიის პოეზია და პროზა“<sup>12</sup>. მათაც აინტერესებთ, რა დამოკიდებულება აქვს, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიას სინამდვილის, სახელდობრ, ისტორიისადმი და არ იზიარებენ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ზოგიერთი ადგილის მისეულ შეფასებას. მაგალითად, შეხედულებას, რომ „მწერალი სცილდება შექმნილი მდგომარეობის საგნობრივ სიმართლეს და ფანტაზიას მიმართოვს, როცა ამბობს: «გარე შეაღვეს კარვები ივი მათი, ვითარუა ოჯღლი...»“. წმინდა წარმოსახვის ნაყოფია ასეთი ხატიც: «სიმრავლე ტყიორცებულთა მათ ისართა შეიჭრობდა ჰაერსა შზისასა...»<sup>13</sup>.

თ. დოიაშვილი და ლ. ბრუაძე შენიშვნავენ: „ვუიქრობთ, ამ შემთხვევაში ემპირიული სინამდვილის ნორმებისა და საზღვრების დარღვევასა და «საგნობრივ სიმართლესთან დაცილებაზე» ღაპრაკი გამართლებული არაა“.

ეს ავტორებიც იმოწმებენ იოგანე საბანის ძის ჩვენთვის საინტერესო სურათს, მაგრამ სინამდვილისადმი მის დამოკიდებულებაზე არაფერს ამბობენ.

საკუთარი თავისა და, განსაკუთრებით გვაძის, დანახვის რეალობა და წარმომავლობა იმთავითვე მაწუხებდა, რაც გ. ფარულავას აღნიშნული თვალსაზრისი და ა. გაწერებულიას გამოხმაურება გამოქვეყნდა. „აბოს წამებასა“ და „ანა კარენინაში“ უცნაურის დანახვა, მეტადრე რაიმის სინამდვილეს მოკლებულად, მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად მიჩნევა გადამეტებულად მესახებოდა.

როგორც ვთქვით, ბატონი აკაკი იმოწმებს დ. ტოლსტოის ტექსტის დედანს. აი ისიც: „— Поздно, поздно, уж поздно, — прошептала она с улыбкой. Она долго лежала неподвижно с открытыми глазами, блеск которых, ей казалось, она сама в темноте видела“.

მე არ მეშმის, რაა უჩვეულო და უცნაური იმაში, რომ ქალს, რომელსაც სარკეში ათასჯერ დაუნახავს თავისი სახე და თვალები, სიბნელეში, თუნდაც სინათლეში, თვალწინ დასდგომოდა იგივე სურათი უსარკოდ. ავტორი იმასაც პირდაპირ გვეუბნება, რომ მან თავისი თვალები თითქოს დაინახა, ეგონა დაინახა, წარმოუდგა, მოეჩვენა. ბატონმა აკაკიმ თავის თარგმანში გამოტოვა დედნისეულ სიტყვები — „ეს კავშირი იყო უნდა ვთქვა იოგანე საბანისძეზეც.“

დაახლოებით იგივე უნდა ვთქვა იოგანე საბანისძეზეც.

ბავშვობაში პაპანაქებისას მთელი დღე წყალში, მდინარე სუფსაში, გავატარე, გავცივდი და მაღალი სიცხე მომცა. ბებიაჩემბა, ვიდრე დედაჩემბი სამუშაოდან დაბრუნდებოდა, დამაწვინა და კეუერა მხლის ფოთლებით შებლი და გულმკერდი შემიხვია. ბევრჯერ მინახავს ამ ფოთლებით თავ-

<sup>11</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>12</sup> გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 თებერვალი, 1986, გვ. 12-13.

<sup>13</sup> დასხ. მსატვრული სახის..., გვ. 132.

შეხვეული შინაურები და მეზობლები, მე კი პირველად მაშინ ვიგემე და სხვა დროსაც გამოვცადე მისი სამურნალო ძალა.

გავიდა ხანი. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ, როცა უკვე არც ბებია და არც დედაჩემი ცოცხალი აღარ იყვნენ, მაგრად გაცცოდი, ნალვლის ბუშტიც გამიღიზიანდა და მაღალი სიცხით გავითანხდე. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომცდა ზევით და ზევით უსიამოვნობ მივთართა ტებდი. ალბათ, ძილ-ღვიძილში ვიყავი, ვიცი ავად ვარ, ჩემს ოთახსა და საწოლში ვწევარ და გარედან ვხედავ, ზევიდან დაგჰყურებ მთელ ჩემს სხეულს, არ ვიცი ვინ, ბებია თუ დედაჩემი, კეჟერათი თავს მინვევენ და საბინის ქვეშ გულმკრდს მიფარავენ. ზევიდანვე ვხედავდი საბინდან გამოყოფილ ჩემს ფეხებსაც და ვფიქრობდი თუ ველოდი, ამ ფოთლებს ფეხებზეც შემომახვევე-მეთქი.

მეორე: ტელევიზორში მომისმენია, კლინიკური სიკვდილის აღწერისას რამდენს მოუყოლია, რომ თვითონვე გვერდზე მყოფნი თუ ზევიდან დამყურენი როგორ ხედავდნენ თავიათ სხეულს დაშორებით მდებარესა თუ მყოფს. და ამას რელიგიურ ნიადაგზე ხსინდნენ: სული ყორება თუ გაეყარა სხეულს.

განა არ შეიძლება, რომ იოვანე საბანის ძეს მსგავსი ამბები, თუ თავად არ განეცადა, სხვებისგან მოესმინა და თხზულებაში გამოყენებინა?!

ფანჯ ამირხანაშვილმა ყურადღება მიაჟცია, რომ იოვანე საბანის ძის მსგავს სურათს გვიხატავს მე-20 საუკუნის ინგლისურენოვანი მწერალი რეი დუგლას ბრედბერი. მის მოთხრობაში „კალეიდოსკოპი“ აღწერილია ფანტასტიკური ამბავი: კოსმოსში რაკეტა აფეთქდა და „კოსმონავტები სივრცეში გაცვიდნენ“. „ყოველ მათგანს პერმეტულად დახშული კოსმოსური სკაფანდრი ეცავ და გაფითრებულ სახეებს მინის ნიღბები უფარავდათ“. ერთ-ერთ პერსონაჟზე ნათქვამია: „ის თითქოს განუდგა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეჰყურებდა, როგორ მიქოდა იგი უკიდუანო სივრცეში. შეჰყურებდა, როგორც უცხო საგანს, როგორც ზამთრის პირველ ფიფქს დიდი ხნის წინათ“<sup>14</sup>.

ბატონი ფანჯ ისე, რომ არ ასახელებს გ. ფარულავას, ა. გაწერელიასა და დოიაშვილ-ბრეგაძის მოსაზრებებს, დამოუკიდებლივ ცდილობს ახსნას, რას უნდა გამოეწვია ეს მსგავსება (ეტყობა, ქართველ მკვლევართა მასალები მას გამორჩა). „ერთი შეხედვით, მართლაც საკვირველი მსგავსებაა, — წერს იგი, — სად ფანტასტიკის უანრი და სად აგიოგრაფია, მაგრამ მხატვრული აზროვნების ზოგად სპეციფიკას თუ გვაითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის არა უბრალოდ დამთხვევა, არამედ თანხვედრა, წარმოსახვის იდენტური სტრუქტურის შეხვედრა. ჩვენ წინაშეა აღქმის არქეტიპული ანალოგიები, რომელიც ადასტურებს, რომ ლიტერატურაში მოვლენათა აღქმის ძექანიზმი მუდმივა. იცვლება მხოლოდ გამოხატვის ფორმა, თუმცა ზოგჯერ არქეტიპი თავს იჩენს გადმოცემის

<sup>14</sup> რეი ბრედბერი, 451°, ფარულავასით, მარსის ქრონიკა, მოთხრობები, თბ., „მერანი“, 1973, გვ. 420.

ფორმაშიც, რის შედეგადაც კლებულობთ ასეთ მხევაჲებას.

მხატვრული ტალანტი საჭაროს აღქმის ასოციაციურ სისტემას გულისხმობს და სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ინტუიციის, ფანტაზიისა და გონიერის ურთიერთქმედება მხევა ფორმებს ბადებდეს სხვადასხვა ეპოქის მწერლობაში.

ავიოგრაფოსს უანის კანონი არ აყალიებს მხატვრული გამონავონის შექმნას, მაგრამ იგივე კანონი არ უკრძალავს ისეთი გამონავონით ოპერირებას, რომელიც რეალობას უკეთესად წარმოაჩენს.

რაც რეი ბრუდებერის ეკალიება, ის კკრძალება ითანე საბანისძეს, მაგრამ სადღაც, წარმოსახვისა და ქვეცნობიერის გადაკვეთაზე, ისინი ზედებიან ერთმანეთს და ჩხდება ფიგურა, რომელიც საერთოა ორივე ავტორისათვის, ოღონდ ფორმალურ დონეზე, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, სხვაობაა, — ითანე საბანისძე იდეოლოგიურ შინაარსს დებს ამ ფიგურაში, რეი ბრუდებერი კი — მხატვრულს.

რა მიზეზიც უნდა დაუსახო, იდეოლოგიური თუ მხატვრული, მწერალი მაინც მწერლად რჩება, თავისძაუნებურად ერთვება შემოქმედებით პროცესში, რადგან მასზე მოქმედებს ქმნადობის ძალა, რომელიც სიტყვის შინაგანი არსიდან მოძრინარეობს<sup>15</sup>.

აქ ზოგი რამ ბუნდოვნად არის გამოთქმული. მაგალითად: „იდეოლოგიური შინაარს“ და „მხატვრული“ შინაარსი არა მგონია, სადმე ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. სხვა მხრივ, აქაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც გ. ფარულავასა და ა. გაწერელიას შეფასებებზე ვთქვი. რა თქმა უნდა, სამივე თხზულებაში, როგორც ეს ავტორები ამბობენ, მსგავსი სურათები მხატვრული აზროვნების ზოგადი წესითა შექმნილი, მაგრამ, რაც ამჯერად გვაინტერესებს, ლიტერატურული გამონავონი განყენებული, ოდენ ფანტაზია არ არის. იგი რეალობის, მატერიალური, ნივთიერი თუ არა, რაღაც კონკრეტული ან აბსტრაქტული სახით ცალკე არსებულის, წარმოსახულის გამომხატველია. უპირველესად ამით ემთხვევა, ემსგავსება ეს სურათები ერთმანეთს.

აქ ძალაუნებურად გვაგონდება ლათინური ბრძნული გამოთქვამი: ინჰილ ესტ ინტელლეცტუ, ქუოდ ნონ ფუიტ ინ სენსუ — „არაფერია გონებაში ისეთი, რაც გრძნობაში არ იყო“<sup>16</sup>.

ბოლოს ერთი საკითხი. ცნობილია, რომ რელიგიები, მათ შორის ქრისტიანული, სულსა და ხორცის ერთმანეთს იმდენად უპირისპირებს, რომ, ხორცის დათრგუნვას მოითხოვს.

სახარებაში ვკითხულობთ „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყდნენ კორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ჰელ-წითების მოკლვად...“ (მთ. 10,28).

<sup>15</sup> ქურ. „სჯანი“, 2011, № 12, გვ. 9.

<sup>16</sup> ლათინური ხატოვანი სიტყვა თქმანი ქართული შესატყვისებით, შეადგინა აკაკი ურუშაძემ, თბ., 1987, გვ. 84.

„ხოლო გეტეგ თქუენ, მეობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვდნენ ჭორცნი და ამისა შემდგომად ვერარად აქუს უმეტეს, რამ გიყონ თქუენ“ (ლუკ. 12, 4).

„სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჭორცნი არად სარგებელ არიან“ (ინ. 6, 63).

პატერიკის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში მოწოდება მტკიცე და ნათელია: „მოიძულე ყოველივე ამის სოფლისა და განსუენებად ჭორცთავ!“<sup>17</sup>, „მოიძულეთ სოფელი და ყოველი, რამ არს მას შინა; მოიძულეთ ყოველი განსუენებად ჭორციელი და განეშორენით ცხოვრებისგან მისგან ჭორციელისა.... იმშიეთ, მმანო, და იწყურეთ, შიშუელ იყვნით, იღზძებდით, იგლოვდით და ტიროდეთ..., რამთა აცხოვნეთ სულნი თქუენნი“<sup>18</sup>. ამიტომ მორწმუნე ქრისტიანისთვის სიკვდილი მნელი არ არის, პირიქით, სულის საცხოვებელი, სანეტარო და სასურველია.

„ჰაბო თბილელის წამებაშიაც“ სიკვდილი მხოლოდ ხორცისგან გასვლაა. საპყრობილეში მყოფი ჰაბოს თვალწინ უდგას იესუ ქრისტეს მდინარე იორდანეში განბანება და ნათლისლება: „და თქუა ნეტარმან მან: «დიდ არს ჩემდა დღეს ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთაკდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლის-დებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულსა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთუებისა შეძუსრა. ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას, რათა განვიძისულ შიში ჭორცთა ამათ ჩემთამ, რომელნი სამოსელნი არიან სულისა ჩემისა და შთავსდე, ვითარცა სიღრმესა ზღუსასა“ (გვ. 68).

წინ ჰაბო გამოკვეთილად ამბობს, რომ რწმენისათვის თავშეწირვა, სიკვდილი სულისთვის სამუდამო ნეტარებაში გადასვლაა. საპყრობილეში მყოფი ჰაბო თავის გულშემატკიფრებს ასე ამხნევებს: „ხეალე განხლებად არს ჩემი ჭორცთაგან და მისლებად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“ (გვ. 67).

„ჰაბო თბილელის წამებაში“ სხვა მინიშნება არ არსებობს, მაგრამ, ზემორე აღნიშნული რწმენიდან გამომდინარე, პირადად ასე მესახება: იოვანე საბანის ძე დასასჯელად მიმავალ ჰაბოს თავის გვამს გარედან იმიტომ დაანახვებს, რომ ამით გვეუბნება: რადგან იგი თავისი გვამისაგან განცალკევებით არის, ამიტომ აღარ ენაღვლება თავის სხეულს, გვამს, ლეშს მტარვალი რას უზამს. დაახლოებით ეს იგოვეა, რაც ამბროსი ხელაიამ ჯალათებს უთხრა: ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის და ჩემი ლეში თქვენთვის მომირთმევიაო.

<sup>17</sup>შეა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დგალმა, თბ., 1966, გვ. 6.

<sup>18</sup>იქვე, გვ. 22.